

როგორ განახორციელოთ რუბლში გადარიცხვა ბიზნეს ინტერნეტბანკით?


- შედით **ბიზნეს ინტერნეტბანკში** (www.bonline.bog.ge)
- გაიარეთ **ავტორიზაცია** თქვენი მომხმარებლის სახელითა და პაროლით




- დააჭირეთ **გადარიცხვებისა და გადახდების** ღილაკს, შემდეგ კი **– სხვასთან გადარიცხვას**




- **შეავსეთ ყველა მოცემული ველი:**
- **რომელი ანგარიშიდან გსურთ თანხის გადარიცხვა**



- **რომელ ანგარიშზე გსურთ თანხის გადარიცხვა (მიმღების ანგარიში)**




- **მიუთითეთ მიმღების დასახელება**



*მიმღების დასახელების ველი ივსება შემდეგი თანხმიმდევრობით: INN(ნომერი) შემდეგ წერტილი(.) და KPP(ნომერი) შემდეგ გამოტოვება და მიმღების დასახელება. ამასთან, უნდა მიეთითოს მიმღების ქვეყანა და ქალაქი. (აუცილებელია შეივსოს რუსული დასახელება ლათინური ჩანაწერით სპეციალური გადამყვანის მიხედვით: https://go.bog.ge/3CBD3LW).

- მიუთითეთ **მიმღების ბანკი და შუამავალი ბანკი**




*გადარიცხვისთვის აუცილებელია მიუთითოთ:


1. სვიფტი, ბიკკოდი, საკორესპონდენტო ანგარიში (კორ. ანგარიში) ან
2. ბიკკოდი, საკორესპონდენტო ანგარიში (კორ. ანგარიში), მიმღები ბანკის დასახელება, ქალაქი

სვიფტკოდი შესაძლოა მიმღებ ბანკს არ ჰქონდეს. მიმღები ბანკის ველი ძიების ღილაკიდან ავტომატურად არ უნდა შეივსოთ, რადგან ხელით წერთ ინფორმაციას (აუცილებელია შეივსოს რუსული ტექსტი ლათინური ასოებით, სპეციალური გადამყვანის მიხედვით: https://go.bog.ge/3CBD3LW)


შუამავალი ბანკი – თუ რუბლს რიცხავთ რუსეთში, შუამავალი ბანკის შევსება აუცილებელი არ არის. თუ რუბლს რიცხავთ სხვა ქვეყანაში, მაშინ უნდა შეავსოთ შუამავალი ბანკის ველი (ბანკის სახელწოდება, ბიკკოდი და კორ. ანგარიში)



შეავსეთ **მიმღების ქვეყანა /ქალაქი და** მიუთითეთ **მისამართი** (მისამართის ველში უნდა მიუთითოთ რუსული ტექსტი, ლათინური ასოებით, სპეციალური გადამყვანის მიხედვით)




- ჩაწერეთ **გადასარიცხი თანხა**



* უნდა მიუთითოთ რუბლში გადასარიცხი თანხის მოცულობა


- აირჩიეთ **დანიშნულება**




პირველ რიგში, საჭიროა VO-code-ის მითითება, როგორც ფოტოზეა ასახული: VO (ხუთნიშნა კოდი), კონტრაქტის ან ხელშეკრულების ნომერი, თარიღი (ხელშეკრულებაში მითითებული) და მიზნობრიობა

შეიძლება კონტრაქტს არ ჰქონდეს ნომერი, თუმცა თარიღი აუცილებელია მითითებული იყოს.

* VO-code-ის ნიმუში



- სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ მიუთითოთ დამატებითი ინფორმაცია



ზოგადი მითითებები

- თუ მიმღები იურიდიული პირია, აუცილებელია INN-ი და KPP კოდები შეივსოს. თუ ფიზიკური პირია, მაშინ მხოლოდ INN კოდის მითითება ხდება
- მიმღები ბანკის ბიკკოდი 9-ნიშნაა, საკორესპოდენტო ანგარიშის კი – 20-ნიშნა. ბიკკოდის ბოლო 3 ციფრი საკორესპოდენტო ანგარიშის ბოლო 3 ციფრს ემთხვევა
- ინფორმაცია, რომელსაც ხელით უთითებთ, აუცილებელია შეივსოს რუსულად, ლათინური ასოებით, სპეციალური გადამყვანის მიხედვით